პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 176 (6231)

7 სექტემბერი, ხუთშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



# იმედის ნაბიჯები

მძლეოსნობა

## საქართველოს პირველობა

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა საქართველოს მძლეოსანთა მორიგი პირველობა, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის გაწეული მუშაობის შემოწმება და სსრ კავშირის ჩემპიონატისთვის საქართველოს საუკეთესო ათლეტების შერჩევა. (საკავშირო ტურნირი აქვე ათიოდე დღის შემდეგ დაიწყება).

რა გვიჩვენა ტურნირმა, რა შანსები აქვთ ჩვენს სპორტსმენებს საკავშირო სტარტებში? წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის შედეგები უკანასკნელი წლების სხვა ადრინდელ მაჩვენებლებს საგრძნობლად სჯობს, ნაბიჯი წინ გადადგმულია.

ამ ასპარეზობაზე ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ს. გუმბამ და თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამეკურსელმა ნ. ლაბაძემ. მათ გარდა სპორტის ოსტატობის შედეგს გადაამეტეს უროს ტყორცნაში — ჯ. ფხაკაძემ, და ათჭიდში — ს. კრასნოკუტსკიმ. (ყველა — თბილისი). კრასნოკუტსკიმ ეს ნორმატივი პირველად შეასრულა. ექვსმა სპორტსმენმა შეჯიბრება სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის ჩვენებით დაამთავრა, 40-ზე მეტმა — პირველი თანრიგისა.

შეიძლება ეს მაჩვენებელი უკეთესი ყოფილიყო, რომ რესპუბლიკის ყველა უძლიერეს სპორტსმენს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების საშუალება ჰქონოდა. (ისინი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის ტაშკენტში იმყოფებიან).

საქართველოს მძლეოსანთა წლევანდელი გარჯის შედეგებზე და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მათი მზადების ხარისხზე უფრო გვიან, საკავშირო ჩემპიონატისა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის დამთავრების მერე ვისაუბრებთ. ახლა კი ქიტყვით, რომ საკავშირო პირველობაში რესპუბლიკას სათანადო ჩათვლებს მისცემენ გ. სანეევი, ჯ. ფხაკაძე, ნ. ლაბაძე, ლ. გუმბა, ს. სკრიპკა, შესაძლოა აგრეთვე, ო. ვიქტოროვა, ბ. მექვაბიშვილი, გ. ლოხმინი, გ. სავჩენკო და კიდევ ორიოდე ათლეტი, მაგრამ საერთო გუნდურ ჩათვლაში ჯერ კიდევ საეჭვოა რაიმე ხელშესახებ წარმატებას მივაღწიოთ.

რესპუბლიკაში ჩემპიონატის ბოლო დღის ბრძოლებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრება, სადაც ხუთმა მონაწილემ გადაამეტა პირველი თანრიგის ნორმატივს; 400 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრებაში სამივე პრიზიორმა შეძლო 50 წამიდან გამოსვლა, ხოლო ა. ალიევმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის შესაბამის შედეგსაც აჯობა. ასევე დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლით იმარჯვა 1500 მეტრზე რბენაში უძლიერესმა ქუთაისელმა მ. შაპოვალოვმა.

მაგრამ იყო სახეობები, რომლებიც მწვრთნელების, სპეციალისტების სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვდა. მაგალითად, 10 კილომეტრზე რბენაში ერთადერთი სპორტსმენი ჭიათურელი გ. ბურძენიძე იყო, რომელმაც ამ გრძელ ტრასაზე გასვლა გაბედა — 33.55,2. ქალთა შორის 4X400 მეტრზე ესტაფეტაში კი რუსთავის კვარტეტი მხოლოდ წამზომს ებრძოდა — 4.30,4. ქალთა შორის 1500 მეტრზე ასპარეზობაში მ. ჯიოევას (სამხრეთ ოსეთი) მხარი ვერავინ აუბა. იგი ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ხუთ სპორტსმენთან ერთად საქართველოდან მარტო გამოდიოდა და პირველობაც, რა თქმა უნდა, მას ხვდა წილად — 5.35,0, თუმცა, ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ლატვიელი სპორტის ოსტატი რ. ვილცინია — 4.18,0.

განა დამაფიქრებელი არ არის 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში, 4X400 მეტრზე ესტაფეტაში, ქალების 4X100 მეტრზე ესტაფეტაში და ხუთჭიდში მხოლოდ 2-2 სპორტსმენი ან გუნდი რომ გამოვიდა სარბიელზე?

იქნებ ჩვენს რესპუბლიკაში სპორტსმენებს არ გააჩნიათ ინტენსიური რეგულარული ვარჯიშის პირობები, რომ მაღალ შედეგებს მიაღწიონ? როგორ ახერხებენ ამას ფხაკაძე, ლაბაძე, გუმბა და სხვა ზემოთ ჩამოთვლილნი, რომელთაგანაც საკავშირო ჩემპიონატში ქულებს ველით?

საქართველოს ჩემპიონატი დამთავრდა, ზოგიერთ სახეობაში კი ჩემპიონი არ გამოვლენილა, ვინაიდან სარბიელზე სამმა სპორტსმენმაც ვერ მოიყარა თავი.

**ტექნიკური შედეგები: ქალები. რბენა. 200 მ.** ო. ვიქტოროვა — 24,9, ტ. ბელოვა (ორივე — აფხაზეთი) — 26,2, ვ. ხრომოვა (ქუთაისი) — 26,7. **100 მ. თარჯრბენი.** მ. აბზიანიძე (თბილისი II) — 15,2, ლ. ქავორონკოვა (აჭარა) — 15,6. **ესტაფეტა 4X100 მ.** აფხაზეთი (ვიქტოროვა, ბელოვა, ი. ფოტიადი, ლ. ემუხვარი) — 49,6, რუსთავი — 54,4. **ბადროს ტყორცნა.** ნ. ლაბაძე (თბილისი I) — 62,52, თ. გაჩავა (ქუთაისი) — 31,78, ტ. ბუტოვა (აფხაზეთი) — 30,12. **ბირთვის კვრა.** ლაბაძე — 13,74, რ. ჭინჭარაული (თბილისი I) — 11,75, გ. ბერაია (ფოთი) 11,74. **ხუთჭიდი.** ლ. სანეაპოვა (აფხაზეთი) — 29,38.

**მამაკაცები. რბენა 200 მ.** თ. ჩიტაძე — 22,0, ა. ალიევი — 22,1, ა. იავალოვსკი (სამივე — თბილისი I) — 22,3; **400 მ.** ალიევი — 48,5, ი. ვაშალომიძე (მახარაძე) — 48,8, იავალოვსკი — 50,0; **1500 მ.** მ. შაპოვალოვი (ქუთაისი) — 3.49,6, ი. ციგულიოვი — 3.50,4, ს. სკრიპკა (ორივე — თბილისი) — 3.51,5. **3000 მ. წინაღობებით.** შ. ნადირაძე (თეთრი წყარო) — 9.23,0, ე. მალიუკი (თბილისი II) — 10.02,1. **400 მ. თარჯრბენი.** ი. ვაშალომიძე (მახარაძე) — 55,5, ვ. მითაგვარია (რუსთავი) — 55,8, ვ. ზენინი (ქუთაისი) — 59,4. **ესტაფეტა 4X100 მ.** თბილისი I (ბ. მექვაბიშვილი, თ. ჩიტაძე, ღ. მელაძე, ბ. ბერიაშვილი) — 42,0, თბილისი II — 42,7, მახარაძე — 43,4; **4X400 მ.** თბილისი I (იავალოვსკი, ალიევი, ვ. ბერიშვილი, ვ. ფედოროვი) — 3.23,7, ქუთაისი — 3.27,8. **სიგრძეზე ხტომა.** გ. ხალიბინი (მახარაძე) — 735, ბ. ვეშაგურიძე — 734, მ. ჩუკანოვი (ორივე — თბილისი I) — 716; **სამხტომი.** მ. ფრიდმანი (თბილისი I) — 15,52, ვ. მოზგავოი (თბილისი II) — 14,98, ა. სხირტლაძე (თბილისი I) — 14, 85. **ბადროს ტყორცნა.** თ. ჭედია (აფხაზეთი) — 41,30, თ. ნაცვალაძე (თბილისი II) — 40,44. **ათჭიდი.** ს. კრასნოკუტსკი (თბილისი I) — 7450, ი. ვოლკოვი (აფხაზეთი) — 6130, ო. სანოსოსიუკი (თბილისი II) — 5821.

**გუნდური.** პირველი ჯგუფი. თბილისი I — 46461 ქულა. თბილისი II — 26202, აფხაზეთი — 13486, ქუთაისი — 10434, აჭარა — 9816, სამხრეთ ოსეთი — 3590. **მეორე ჯგუფი.** ფოთი — 8108, მახარაძე — 7437, რუსთავი — 7338.

**ო. გელაშვილი.**

* * *





**სურათებზე:** ნ. ლაბაძე; 1500 მეტრზე რბენის მომენტი; მ. ფრიდმანი ასპარეზობის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# „ოლიმპიური მოსკოვი"

**პრაღა.** პრაღის ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმში დიდი წარმატება ხვდა ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტისა და საკდესის მიერ ორგანიზებულ გამოფენას „ოლიმპიური მოსკოვი".

საგამოფენო სტენდებზე წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი ექსპონატი და ფოტოსურათი მოსკოვსა და სხვა ქალაქებში სპორტის ამ საყოველთაო დღესასწაულისთვის მზადებას ასახავენ. გამოფენის დამთვალიერებლები გაეცნობიან თუ როგორ შენდება და რეკონსტრუირდება საბჭოთა დედაქალაქის სპორტული ობიექტები, როგორ ემზადება ოლიმპიადისთვის ტრანსპორტი და კომუნალური მეურნეობა, როგორი სუვენირები იქნება გამოშვებული XXII ოლიმპიური თამაშების მრავალრიცხოვანი სტუმრებისთვის.

გამოფენა მოგვითხრობს საბჭოთა სპორტის განვითარებასა და მიღწევებზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ზრუნვაზე და ფიზკულტურისა და სპორტის ჭეშმარიტად მასობრივ ხასიათზე.

საგამოფენო ექსპოზიციებს ამ დღეებში დაათვალიერეს არა მარტო ჩეხოსლოვაკიის სპორტის მოყვარულებმა, არამედ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. მათ შორის პრაღის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე უცხოელმა მძლეოსნებმა, რომელთა უმრავლესობას ორი წლის შემდეგ მოსკოვის ოლიმპიადაზე ასპარეზობა მოუწევს.

მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებისადმი დიდ ინტერესზე, სპორტის ამ დიდი ფორუმის წარმატებით ჩატარების სურვილზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში. (საკდესი).

## ჭადრაკი

**გუშინ** [illegible] პირველობის [illegible] — მ. [illegible] შედგა VII პარტია. თეთრებით ჩიბურდანიძე თამაშობდა. პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონს ზედმეტი პაიკი აქვს. გადადებული. პარტია დღეს უნდა დამთავრდეს.

მატჩის ანგარიშია 4:2 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

# გეორგიევსკის ტრასაზე

**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადის წინ საგზატკეცილო ველორბოლაში საქართველოს ნაკრები გუნდის ზოგიერთმა წევრმა კარგი შემოწმება გაიარა, გეორგიევსკში გამართულ სოფლის ახალგაზრდა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრებაში „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების ინტერესებს იცავდნენ **ა. ალპატოვი, ს. სპირიდონოვი, ს. კუკლინკოვი და ე. ჯიქია.**

მათ გამოცდა სამივე სახეობაში კარგად ჩააბარეს. 50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში საქართველოს კვარტეტმა რსფსრ-ს ნაკრებთან (1:09.00) საბოლოოდ 42 წამი წააგო და მეორე ადგილი დაიკავა. ამ დისტანციაზე მესამე ადგილი ერგოთ ბელორუსიის სოფლის სპორტსმენებს — 1:11.23.

შემდეგ ჩვენები უფრო კარგად გამოვიდნენ 100 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში, სადაც ალპატოვმა (2:20.28), ჯიქიამ (2:20.34) და სპირიდონოვმა (2:20.35) სამივე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში კუკლინკოვმა ს. სუხანოვთან (35.02) 21 წამი წააგო და მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი გახდა სუხანოვის თანაგუნდელი ს. ნესმიაჩნიკი (რსფსრ), რომელმაც დისტანციის გავლას 34 წუთი და 50 წამი მოანდომა. აღსანიშნავია, რომ ალპატოვი კუკლინკოვს სულ რაღაც 0,6 წამით ჩამორჩა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა რსფსრ-ს ნაკრებმა, რომელმაც 350 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გავიდნენ საქართველოს ველოსიპედისტები — 238,5, მესამეზე — ლიტვის გუნდი 186,5.

**ნ. ტრეტიაკოვი,**
**„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს მწვრთნელი ველოსპორტში.**

## ველოსპორტი

**საფრანგეთის** გზებზე მიმდინარე ველოსიპედისტთა საერთაშორისო მრავალდღიანი რბოლის — „ტურ დე ლავენირის" პირველ ეტაპზე, რომლის სიგრძე 126 კილომეტრს უდრიდა, ქუიბიშეველმა ს. სუხორუჩენკოვმა იმარჯვა — 3:27.09. ფინიშთან, რომელიც ქ. დივონ-ლე-ბენში მოეწყო, მას 26 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი ა. ავერინი. მესამე ადგილი დაიკავა იტალიელმა ა. პოციმ — 3:28.14. „პროლოგისა" და პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერობენ სუხორუჩენკოვი, ლენინგრადელი ს. მოროზოვი და ა. ავერინი.

# სამივე ღირსებისა

**ჩეხოსლოვაკიის** ქალაქ ჩესკე-ბუდეიოვიცეს მიდამოებში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. ქალთა შორის სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს. აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მინსკელი ვ. იაკოვა, ადრინდელი ჩემპიონი ტულელი ლ. ლეონოვა ამჯერად ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი ერგო მოსკოველ ლ. ნემკოვას.

ვაჟთა შორის ადგილები ასე განაწილდა: ი. ტუჩეკი (ჩეხოსლოვაკია), ქ. ვიკსი (აშშ), ი. პოსპიშილი (ჩეხოსლოვაკია).

# გული უნდა გულობდეს

სარედაქციო ფოსტა

## დრო გამოძებნეთ, მამებო!

**გახსენდება** ჩემი ბავშვობა. მამაჩემი ყოველ დილით ადრე დგებოდა. მე და ჩემს ძმასაც წამოგვახტუნებდა. ჯერ ეზოს შემოვურბენდით, მერე დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე გადავიდოდით, ბოლოს კი ცივი წყლით ვიზელდით ტანს. ასე იყო წლის ყოველ დროს. ცოდვა გამხელილი ჯობს და, თავიდანვე სულაც არ მსიამოვნებდა ეს „არაფრის მაქნისი", „უსარგებლო" (როგორც მაშინ ვფიქრობდი) პროცედურა და მას მამის ჯიუტ ახირებას მივაწერდი. ბევრჯერ გვიბუზღუნია ძმებს ამაზე, მაგრამ მამა შეუვალი იყო: ჯერ პატარები ხართ, გაიზრდებით, მიხვდებითო.

ვხვდები კიდეც: მამაჩემი ახლა ორმოცდაჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ რომ შეხედოთ, არ დაიჯერებთ: ორმოცდახუთზე მეტის არ მეგონებათ.

ჩვენ?

... მოზრდილები ვიყავით უკვე, ვინმე რომ გვესტუმრებოდა და გვეტყოდა: ყოჩაღ, რა სპორტული აღნაგობის ბიჭები არიანო, საოცარი სიამაყის გრძნობა გვეუფლებოდა და როცა მამის სახეზე ძლივს შესამჩნევ ღიმილს მოვკრავდი თვალს, გული რაღაც ქვეცნობიერი სიამით გვევსებოდა. ახლა ვხვდები, ეს მადლიერების გრძნობა იყო.

უხერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი... ერთს ვიტყვი მხოლოდ: დილის გამამხნევებელი ვარჯიში ჩემი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად იქცა და რაც უნდა უგუნებოდ ვიყო, რაც უნდა მიჭიროდეს, ძალას მმატებს, შინაგანი წონასწორობის აღდგენაში მეხმარება. ამგვარი ჩვევის გამომუშავებას წლები უნდოდა და სწორედ აქ ვხედავ მამაჩემის დამსახურებას...

ეს ყველაფერი ამას წინათ „ლელოში" გამოქვეყნებულმა წერილმა („დრო არ გვყოფნის, მამებო!") მათქმევინა. კარგია, რომ გაზეთმა ეს წერილი გამოაქვეყნა. ახალი სასწავლო წელი დაიწყო და მეტად რთული სასწავლო პროგრამების პირობებში მართლაც რომ ღირს ამაზე დაფიქრება.

თუ რაიმე სენი სდევს XX საუკუნეს, ეს უმოძრაობაა, აშკარად თვალში საცემი ზომაზე მეტად ჩასუქებული, დონდლო ახალგაზრდების მომრავლებაა.

რა ვილონოთ? ერთ-ერთ საშუალებაზე სოსო ერთელიშვილის ზემოთ დასახელებულ წერილშია საუბარი. ეს გახლავთ შვილის სპორტულ სექციაში მიბარება. საბედნიეროდ, თბილისში ასეთი სექციები ბევრია და შესაბამისი ორგანიზაციების ზრუნვით კიდევ უფრო გაიზრდება. ის, რომ თითქოს დრო არ გვყოფნის, გამართლება არ არის. ამით მხოლოდ ჩვენს უდარდელობას (სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია) ვაფარებთ ფარდას.

სოფლად ეს საკითხი უფრო ჭირს. სპორტული სექციებისა და წრეების პრობლემა ქალაქში ასე თუ ისე, მაინც მოგვარებულია. სოფელში სხვა მდგომარეობაა. უთუოდ კარგი იქნება, თუ სოსო ერთელიშვილის წერილს სოფლის მცხოვრებლებიც გამოეხმაურებიან, გაუზიარებენ ერთმანეთს თავის გულისტკივილსაც და გამოცდილებასაც.

სხვა საშუალებანიც არის: ბავშვის გართობა-თამაშს ისეთივე ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორსაც მათ საგაკვეთილო მეცადინეობებს. ვეცადოთ მოზარდი შევაჩვიოთ ისეთ რეჟიმს, რომ მას აუცილებლად რჩებოდეს დრო ეზოში ჩასასვლელად. ზოგიერთი შეიძლება შემოგვედაოს: ეზოში ჩასასვლელად კი არა, პროგრამული მასალების საშუალო დონეზე მოსამზადებლადაც არ ჰყოფნისო დრო.

როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? მეფიქრობ, პრიორიტეტი ბავშვის ჯანმრთელობას უნდა მივაკუთვნოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მერე, ცოტა თუ დიდი ხნის შემდეგ, „დაკარგული" ცოდნის აღდგენა უფრო შეიძლება, ვიდრე დაკარგული ჯანმრთელობისა.

თუ ბავშვი ვერ ასწრებს, სწორედ მაშინ უნდა მას დახმარება, რათა ის მცირე დრო, რომელსაც თამაშისთვის გამოვუყოფთ, გონივრულად იქნეს გამოყენებული. როგორ? ყველაზე მარტივად ასე: ეს ერთი საათი თუ ორმოცდახუთი წუთი ერთმანეთთან დომინოს თამაშში კი არ გავატაროთ, არამედ ჩვენი ბიჭების ეზოს თამაშობებს მივაქციოთ ყურადღება. ვეცადოთ, რომ ყველა ბავშვი მონაწილეობდეს მასში, გავხადოთ ის უფრო საინტერესო, ორგანიზებული, ვასწავლოთ, ვურჩიოთ, თუ საჭიროა, თავადაც ჩავერიოთ თამაშში.

საერთოდ, ბავშვებს ძალიან აქვთ გამძაფრებული ანტაგონიზმის გრძნობა, რაც იმის კეთების სურვილში გამოიხატება, რასაც უშლიან. სასწავლო პერიოდში ასეთ აკრძალვებში თამაშობებიც ხვდება. მაგრამ, როცა პატარები ჩვენს მხრივ მათ გართობა-თამაშობებზე ყურადღებას იგრძნობენ, ანტაგონიზმის გრძნობაც ასე თუ ისე გაქრება და გაკვეთილებსაც მეტი ხალისით ჩაუჯდებიან. გარდა ამისა, თუ ეზოს ბავშვებისთვის თამაშისთვის ჩვენი გარკვეული დრო იქნება გამოყოფილი და ის საინტერესოდ ჩატარდება, მოზარდები დროის სწორ განაწილებასაც მიეჩვევიან და ნაკლებ დროსაც დაკარგავენ.

კიდევ ვის შეუძლია დაგვეხმაროს? სპორტსმენებს, რომლებიც ჩვენს ეზოებში ცხოვრობენ (მით უმეტეს, თუ ისინი უკვე მამები არიან). საიდუმლო არ არის, რომ „ამ საკითხში" ისინი უფრო სარგებლობენ ავტორიტეტით, ვიდრე არასპორტსმენი მამები. კარგი და მისაბაძი იქნება, თუ ისინი ეზოში რომელიმე წრეს ჩამოაყალიბებენ (ასეთი მაგალითები არის), ცხადია, ადგილობრივი შესაძლებლობის პირობებში. შეიძლება ამ წრეს ისეთი შინაგანაწესი მივცეთ, რომ [illegible] დაინტერესებთ...

[illegible] ვცხოვრობ, ბავშვებისთვის განკუთვნილი სამი კეთილმოწყობილი მოედანია. ისინი გათვალისწინებულია კალათბურთისთვის, ფრენბურთისთვის და სხვადასხვა სპორტული თამაშობებისთვის. უკეთეს პირობებს, რომ იტყვიან, კაცი ვერ ინატრებს. მაგრამ რად გინდა, მოედნები თითქმის გამოუყენებელია. ხანდახან აქ მოზრდილი ახალგაზრდები თუ გამოჩნდებიან, ეს არის და ეს...

მრავალი საინტერესო ღონისძიების მოწყობა შეიძლება კვირა დღეს. სასურველია ლაშქრობების მოწყობა თბილისის ირგვლივ მდებარე ისტორიულ ადგილებში, ბუნების წიაღში და სხვა. ამით შვილებზეც ვიზრუნებთ და საკუთარ ჯანმრთელობასაც გავიკაჟებთ. ასეთი ლაშქრობები საინტერესო იქნება შემეცნებითი თვალსაზრისითაც. ქალაქგარეთ ფეხით გასვლა შეიძლება მოაწყოს რამდენიმე ოჯახმა ერთად. ცხადია, ასეთი ლაშქრობების დროს, როგორც წესი, უნდა გავითვალისწინოთ ბავშვების ასაკი.

და ბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ საშუალებები და ხერხები უამრავია, ოღონდ დავფიქრდეთ და მოვინდომოთ. ნათქვამია: გული გულობდესო, თორემ... არადა, ასეთ შემთხვევაში გული მართლაც უნდა გულობდეს. აბა, რა არის მშობლისთვის იმაზე უფრო სასურველი, ვიდრე შვილების ბედნიერება.

**თამაზ ელისაშვილი,**
ხელოვნებათმცოდნე.

# ამჯერად „ლოკომოტივის" სტადიონზე...

## საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი

**რესპუბლიკის** პროფკავშირულ-კომკავშირული მძლეოსნური კროსების მონაწილენი უკვე რამდენიმე წელია ფინალურ ტურნირში შედეგებს კუს ტბის მიდამოებში აჯამებდნენ ხოლმე. მაგრამ, ამჯერად იქ სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს წლევანდელი ასპარეზობა „ლოკომოტივის" სტადიონის ტერიტორიაზე გამართონ. სამისოდ აქ საკმაოდ კარგი ტრასებია.

შეჯიბრების მიზანია შეამოწმოს, თუ რა ღონისძიებანი გაატარეს საწარმოების, დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო-ტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, სპორტკლუბებმა საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 23 თებერვლის ერთობლივი ღონისძიების შესასრულებლად. ეს ღონისძიება კი აღნიშნული კროსის ოთხ ეტაპად გამართვას გულისხმობდა.

პირველ ეტაპზე უნდა ჩატარებულიყო საამქროების, განყოფილებების, ცვლების, ფაკულტეტების, კურსების მასობრივი შეჯიბრებები.

მეორე ეტაპზე გაიმართებოდა ფიზკულტურული კოლექტივების და სპორტკლუბების მასობრივი ასპარეზობები.

მესამე ეტაპზე, სარაიონო და საქალაქო ტურნირებში ერთმანეთს შეეჯიბრებოდნენ ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების ნაკრები გუნდები, რომელთა შედეგებითაც დაკომპლექტდებოდა საუკეთესო კოლექტივები.

მეოთხე ეტაპია ფინალი. 10 სექტემბერს, 10 საათიდან საუკეთესონი გაითამაშებენ საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირულ საშემოდგომო მძლეოსნურ კროსში უძლიერესი გუნდების სახელს.

ფინალის მონაწილენი ოთხ ჯგუფად იქნებიან დაყოფილნი. **პირველ ჯგუფში** გამოვლენ ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების კოლექტივები 12-12 სპორტსმენის შემადგენლობით. **მეორე ჯგუფში** პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების 8-8 კაციანი გუნდები.

12-12 მძლეოსნით იქნება დაკომპლექტებული, აგრეთვე, **მესამე ჯგუფის** (უმაღლესი სასწავლებლები) და **მეოთხე ჯგუფის** (ტექნიკუმები) კოლექტივები.

რა თქმა უნდა, ჯგუფებში პროგრამა ერთნაირი არაა, მაგალითად, სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდების წევრები, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მძლეოსნები 6-6 დისტანციაზე გამარჯვებისათვის იბრძოლებენ, ხოლო საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების სპორტსმენებისათვის პროგრამაშია 4-4 დისტანცია. გუნდებს ჩათვლებს მისცემენ ის სპორტსმენები, რომლებიც ცალკეულ დისტანციაზე 20 საუკეთესოთა შორის დაიკავებენ ადგილებს.

ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თასებითა და სიგელებით. II და III ადგილებზე გასული კოლექტივები მიიღებენ შეჯიბრების ჩამტარებელი ორგანიზაციების შესაბამისი ხარისხის სიგელებს.

პირად პირველობაში პრიზიორები დაჯილდოვდებიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს სიგელებით.

# ენგურჰესის მშენებელთა სტარტები

**ენგურჰესის** საკავშირო კომკავშირულ-დამკვრელური მშენებლობის ბაზებზე ოც დღეს გაგრძელდა სპორტკლუბ „ენგურის" მეორე სპარტაკიადა, რომელიც მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადას მიეძღვნა. ასპარეზობათა პროგრამაში იყო 13 სახეობა, გამარჯვებისათვის კი 770-მდე მშენებელი იბრძოდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ძალოვანი კვანძის მშენებელთა სამმართველოს ნაკრებმა იმარჯვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჰიდრომექანიზაციისა და მაღლოვანი კაშხალის მშენებლობის სამმართველოს სპორტსმენები.

სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო ჰიდროელსადგურის მშენებლობის დირექციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის კარგმა დახმარებამ.

**ხ. კუიუმჯიანი,**
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

[illegible]

### ჩხოროწყუ

სოფელ ლეწურწუმეს სასროლეთზე გაიმართა ჩხოროწყუს „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. ცეცხლის ხაზზე 11 კოლექტივის 66 სპორტსმენი გამოვიდა.

პირად პირველობაში ყველას აჯობა ზუმის კოლმეურნეობა „საქართველოს" ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ჯ. ბასილაძემ, რომელმაც 100-დან 92 ქულა მოაგროვა და 4 ქულით ჩამოიტოვა ვ. ჩიქოვანი. მესამე პრიზიორია თ. გახარია (ორივე — მუხური) — 86 ქულა.

გუნდური პირველობა ზუმელებმა მოიგეს. მომდევნო ადგილებზე არიან მუხურის რუსთაველის სახელობის და კირცხის მე-20 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობების მსროლელები.

* * *

რაიონის პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ჰოლის სოფლო საბჭოს ნაკრებმა გუნდმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზუმისა და თაიის სასოფლო საბჭოების კოლექტივები.

* * *

ლელობურთელთა რაიონულ პირველობაში 8 გუნდი მონაწილეობდა. ჩემპიონი გახდა ზუმის გუნდი, მეორე ადგილზეა ჰოლის ნაკრები, მესამე ადგილი წილად ხვდათ ჩოხატაურელ სპორტსმენებს.

**ლ. ჟურაშვილი.**

# მცირე მანქანებით დიდ სარბიელზე

**სპორტის** ტექნიკური სახეობების საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც გაისად გაიმართება, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ამიტომაც ახლა მას ყველგან განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზადებიან: არსად ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას მომავალი წლის სტარტებისთვის გაწეული მუშაობა ნებისმიერ შეჯიბრებებში შეამოწმონ, მით უმეტეს, თუ ეს ჩვენი ქვეყნის პირველობაა.

ამანაც განაპირობა ის, რომ კიშინიოვში ჩატარებულ მოზარდ ავტომოდელისტთა პირად-გუნდურმა XV ჩემპიონატმა მოსკოვისა და ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების 16 კოლექტივს მოუყარა თავი. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა თბილისის სპორტტექნიკური კლუბი „ოქტომბერი", რომელშიც დედაქალაქის საუკეთესო ძალებია თავმოყრილი.

შედეგებით კმაყოფილნი ვართ. „ოქტომბრის" სპორტსმენებმა, რომლებიც შვიდივე კლასის მოდელებით ბრძოლაში ცდიდნენ ძალას, საბოლოო ჯამში 1536 ქულა მოაგროვეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. მათ 320 ქულით ჩამოიტოვეს მეორე პრიზიორი — უკრაინის გუნდი. III ადგილზე გავიდა რსფსრ-ს კოლექტივი — 1179 ქულა.

ეს თბილისელ მოდელისტთა დიდი წარმატებაა და კოლექტივის ყველა წევრის, მათი აღმზრდელების გულმოდგინე მუშაობის შედეგია. მაგრამ ჩემპიონატმა ჩვენი საქმიანობის ხარვეზებიც გამოავლინა, რომელთა დაძლევა გადაუდებელი ამოცანაა, თუ გვსურს საგაისო სტარტებში წლევანდელი გამარჯვება შევინარჩუნოთ, გაისად კი ჩვენს კოლექტივს მოზრდილებიც დაემატებიან, კერძოდ, სსრ კავშირის ნაკრების წევრები, წინა სპარტაკიადის ჩემპიონი დ. ჩხაიძე, რომელმაც წლეულს ბაქოში ვერცხლის მედალი მოიგო და ძალზე ნიჭიერი დ. ასათიანი. ისინი ახლა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებიან.

მომავალი სპარტაკიადის პროგრამაში ხუთი კლასის (4 ჩქაროსნული და ერთიც რადიოსამართავი) მოდელებით შეჯიბრებაა, ამიტომ ჩვენი მზადების აქცენტიც მათზეა გადატანილი.

კიშინიოვში პირად ტურნირში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის 154-ე სკოლის მეათეკლასელის, 16 წლის სპორტის ოსტატ დ. კობახიძის 1,5 კბ სმ-ის მოცულობის ძრავიანმა ასლმა, რომელმაც მონაკვეთზე საათში 82,568 კმ სისწრაფე განავითარა და 135, 568 ქულა დაიმსახურა. კობახიძემ I ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილებზე გავიდნენ მისი თანაკლასელები ე. რუხაძე და გ. ანიაშვილი. რუხაძე 2,5 კბ სმ-ის მოცულობისძრავიანი ასლით ცდიდა ძალას. I ცდაში 91,570 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო. II ცდა უკეთესად დაიწყო, მაგრამ დეტალმა უღალატა და ცდა არ ჩაეთვალა, ამიტომაც 146,373 ქულით II ადგილს დასჯერდა. მას აჯობა ტიუმენელმა (რსფსრ), ვ. მაიზინგერმა — 160,508 ქულა.

გ. ანიაშვილის ელექტროძრავიან მოდელზე უკეთესი ნამუშევარი მხოლოდ უკრაინელ ვ. ბოგოროდოვსკის აღმოაჩნდა, რომელმაც 29 ქულით მეტი შეფასება დაიმსახურა. ანიაშვილის ნამუშევრის საშუალო სისწრაფემ საათში 84,905 კმ-ს მიაღწია, სულ კი 209,810 ქულა მიიღო.

1,5-ანი სარბოლო მოდელებით ტურნირში გ. ბახტაძის კონსტრუირებულმა მანქანამ IV ადგილი დაიკავა (ჩემპიონი გახდა უკრაინელი ა. მაზიცკი). იგი სისწრაფეში (98,901 კმ) ჩემპიონს 5 კმ-ით ჩამორჩა.

ზ. ზურაბიშვილის მიერ მომზადებული სარბოლი 2,5-იანი მოდელი კი (130,434 კმ სისწრაფე) მეშვიდე იყო. აქ პირველობა ერგო ბ. პოლეტაევს (რსფსრ) — 137,404 კმ. მეშვიდე იყო თბილისის 67-ე სკოლის მერვეკლასელ ო. აკოშვილის მიერ დამზადებული 2,5 კბ სმ-ის ძრავიანი აერომობილიც, რომელიც ჩემპიონს, ვ. კიპერის (რსფსრ) მოდელს სისწრაფეში 15 კილომეტრით ჩამორჩა.

ბედმა უმტყუნა სპორტის ოსტატობის კანდიდატს დ. ასათიანს, რომლის რადიოსამართავმა მოდელმა II ცდაზე შეფასება ვერ მიიღო, რის გამო 18 ეკიპაჟთან ბრძოლაში IV ადგილს დასჯერდა. აქ საუკეთესო ნამუშევარი ჰქონდა ა. შკურაპეტოვს (უზბეკეთი), რომლის მანქანამ 454,6 ქულა დაიმსახურა, 46 ქულით მეტი, ვიდრე ვერცხლის პრიზიორმა ა. ჩახოვსკიმ (ლიტვა).

გუნდურ ჩათვლაში მოპოვებული წარმატების მომავალში შენარჩუნებისთვის ჩვენი მწვრთნელების, სპორტსმენების ვალია საერთო ძალით ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ჩვენი ყველა კლასის მოდელები რაც შეიძლება სრულყოფილნი და სწრაფნი იყვნენ. ვფიქრობთ, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი და სპორტტექნიკური კლუბი „ოქტომბერი" ამის მისაღწევად ყველა პირობებს შეგვიქმნიან.

**თ. ლატარია,**
გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# უმაღლესი ლიგა

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0. ერთადერთი ბურთი მოსკოველთა კარში 76-ე წუთზე გაიტანა ბერეჟნოიმ.

დუბლიორები — 0:0.

„არარატი“ — „ლოკომოტივი“ 1:1. ანგარიში 48-ე წუთზე გახსნა ერევნელმა საიკიანმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა შევჩუკმა. გაფრთხილებები მიიღეს შელესტმა („ლოკომოტივი“) და გევორქიანმა („არარატი“). აღსანიშნავია, რომ ეს გევორქიანის მესამე გაფრთხილებაა მიმდინარე სეზონში. მოსკოვის რკინიგზელებმა მერვე მატჩი დაამთავრეს ფრედ და ამოწურეს თავიანთი ლიმიტი.

დუბლიორები — 2:1.

„სპარტაკი“ — „ზარია“ 4:1. სპარტაკელთაგან ბურთები გაიტანეს ხიდიატულინმა, იარცევმა, შავლომ, გავრილოვმა, ხოლო „ზარიას“ მხრივ — კოლესნიკოვმა.

დუბლიორები — 4:0.

„ფახთაქორი“ — „შახტიორი“ 2:1. სტუმრების კარში ორივე ბურთი გატანილი იქნა ანის მიერ 11-მეტრიანი დარტყმებით. საპასუხო გოლი ეკუთვნის რეზნიკს. გაფრთხილებულია დონეცკელი სტარუხინი (II გაფრთხილება).

დუბლიორები — 1:1.

„ტორპედო“ — ცსკა 0:0.

დუბლიორები — 2:0.

„ქაირათი“ — „ზენიტი“ 8:2. პირველ წარმატებას მიაღწია „ქაირათმა“ (ევდოკიმოვი). შემდეგ რედკოუსმა წინ გაიყვანა „ზენიტი“ — 2:1. მეორე ტაიმში ბაიშაკოვმა და სტუკაშოვმა გამარჯვება მოუტანეს ალმაათელებს. მეორე გაფრთხილება მიიღო ზენიტელმა ლოხოვმა.

დუბლიორები — 4:2.

„დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“ 1:0. გოლი გაიტანა კრამარენკომ. გაფრთხილებული არიან კრამარენკო და ოდესელი ნეჩაევი. ეს მათი მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

დუბლიორები — 1:1.

* * *

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას ახლა ლიდერობს მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი გ. იარცევი — 15 გოლი. თბილისელ რ. შენგელიას გატანილი აქვს 12 ბურთი, ხოლო კიეველ ო. ბლოხინს — 11.

### გათამაშების ცხრილი
### სათადარიგო შემადგენლობანი
მდგომარეობა 7 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ თბ. | 23 | 15 | 4 | 4 | 35—12 | 34 |
| ცსკა | 23 | 12 | 9 | 2 | 34—19 | 33 |
| „დინ.“ მ. | 22 | 10 | 8 | 4 | 28—14 | 28 |
| „ნეფთჩი“ | 21 | 10 | 6 | 5 | 27—23 | 26 |
| „არარატი“ | 22 | 8 | 10 | 4 | 31—19 | 26 |
| „დინამო“ კ. | 23 | 10 | 5 | 8 | 25—23 | 25 |
| „შახტ.“ | 22 | 9 | 6 | 7 | 25—19 | 24 |
| „ჩერნომ.“ | 22 | 9 | 6 | 7 | 22—24 | 24 |
| „ტორპედო“ | 23 | 9 | 3 | 11 | 32—28 | 21 |
| „სპარტაკი“ | 23 | 8 | 5 | 10 | 31—23 | 21 |
| „ფახთაქ.“ | 23 | 7 | 7 | 9 | 25—28 | 21 |
| „ქაირათი“ | 22 | 6 | 6 | 10 | 25—31 | 18 |
| „ლოკომ.“ | 22 | 6 | 5 | 11 | 20—33 | 17 |
| „ზენიტი“ | 20 | 4 | 5 | 11 | 19—37 | 13 |
| „ზარია“ | 21 | 4 | 5 | 12 | 19—46 | 13 |
| „დნეპრი“ | 22 | 0 | 10 | 12 | 13—30 | 10 |

ქუთაისის „ტორპედოს“ მიერ განვლილ ტურში ნათამაშევი კალენდარული მატჩის მონაცემები ასეთია:

„შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) [illegible]

„შინიკი“: ჩურკინი, ვინარევი, სმირნოვი, მირონოვი, მიხაილოვი, პანკოვი (კაპლაცკი), კლეშჩევი, პანტელეევი, გავრილოვი (ეკიმოვი), ტკაჩოვი, ზიუზინი (ტოკმაკოვი).

„ტორპედო“: მჭედლიძე, ზ. სვანიძე, გოგოლაძე, მელიქია, თევზაძე, ძებისაშვილი (გაბიჩვაძე), ებანოიძე, ქვირია, ფესტვენიძე (კვაჭანტირაძე), შელია (გორგოძე), კვერნაძე.

მსაჯი ვ. გრინბერგი (კიევი).

გოლები: ზიუზინი (26-ე წუთი), პანტელეევი (57).

დუბლიორები — 1:1.

# პირველი ლიგა
### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 7 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვ.“ | 28 | 16 | 9 | 3 | 42—20 | 41 |
| ასკ რ. | 28 | 14 | 11 | 3 | 51—27 | 39 |
| „დინ.“ მნ. | 29 | 13 | 10 | 6 | 38—26 | 36 |
| „ყუბანი“ | 28 | 13 | 9 | 6 | 41—27 | 35 |
| „კარპატი“ | 27 | 13 | 8 | 6 | 38—26 | 34 |
| „თერგი“ | 29 | 13 | 7 | 9 | 42—36 | 33 |
| „ნისტრუ“ | 29 | 12 | 7 | 10 | 37—30 | 31 |
| „ქალგირ.“ | 28 | 8 | 14 | 6 | 30—26 | 30 |
| „შინიკი“ | 27 | 10 | 7 | 10 | 28—27 | 27 |
| „ტორპედო“ | 28 | 10 | 7 | 11 | 28—27 | 27 |
| „ტავრია“ | 28 | 9 | 9 | 10 | 33—29 | 27 |
| ასკ ოდ. | 29 | 9 | 8 | 12 | 33—40 | 26 |
| „სპ.“ ი.-ფ. | 29 | 10 | 5 | 14 | 32—43 | 25 |
| „კუზბასი“ | 28 | 9 | 7 | 12 | 27—39 | 25 |
| „დინ.“ ლ. | 29 | 7 | 10 | 12 | 38—46 | 24 |
| „პამირი“ | 29 | 6 | 12 | 11 | 32—34 | 24 |
| „მეტალ.“ | 28 | 5 | 14 | 9 | 25—35 | 24 |
| „ურალმ.“ | 28 | 7 | 9 | 12 | 22—34 | 23 |
| „კოლხოზ.“ | 29 | 6 | 6 | 17 | 22—46 | 18 |
| „სპარ“ ორ. | 28 | 6 | 5 | 17 | 18—39 | 17 |



# წინ ფინალებია

მკითხველმა უკვე იცის, რომ ლიპეცკსა და ანგარსკში მოეწყო ოსტატთა გუნდებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო ნახევარფინალური ტურნირები, სადაც საქართველოს გუნდებმა — თბილისის „დინამომ“ და თბილისის „ავაზამ“ I ადგილები და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ნაამბობს, რომელიც ლიპეცკში ახლდა „დინამოს“:

— ფინალის ერთადერთი საგზურისათვის დაძაბული ბრძოლა გაიმართა მოსკოვის, რიგის, ბაქოს, ნოვოლიპეცკის, კიევისა და თბილისის გუნდებს შორის. ჩვენმა ჭაბუკებმა დაუმარცხებლად განვლეს ტურნირი, დაამარცხეს მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (1:0), ბაქოს „შრომითი რეზერვები“ (2:0), ნოვოლიპეცკისა (1:0) და რიგის (3:1) გუნდები, ფრედ ითამაშეს კიევის „სპორტინტერნატთან“ (1:1) და 3 ქულით გაუსწრეს უახლოეს კონკურენტს.

გუნდს ლიპეცკში ახლდნენ თბილისის „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვების მოსამზადებელი სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ო. უშვერიძე და მწვრთნელი ო. გეგეჭკორი.

ტურნირის შემდეგ ვესაუბრეთ სპეციალისტებს.

**ს. სკრიპნიკი**, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი: მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ტურნირი კარგად ჩატარებულიყო. შემადგენლობა ძლიერი იყო. თბილისელები ყველაზე უკეთ მომზადებული ჩამოვიდნენ. განსაკუთრებით მომეწონა ამ კოლექტივის ბრძოლისუნარიანობა. თბილისელები პირველიდან უკანასკნელ წუთამდე შემართული არიან მინდორზე. მინდა გამოვყო რიგელებთან ნათამაშევი მატჩი. „დინამო“ 60 წუთის განმავლობაში აგებდა, შემდეგ კი მოახერხა ის, რასაც ალბათ სხვა გუნდი ვერ შეძლებდა — 20 წუთში 3 უპასუხო გოლი გაიტანა. განსაკუთრებით მომეწონენ არაბიძე, მერეჩკო და ჩიხლაძე.

**ლ. რადინი**, სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი: თბილისის „დინამო“ თანაბრად და კარგად დაკომპლექტებული გუნდია. ტურნირში უთუოდ გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები არაბიძე და გურული, ძლიერია დაცვის ხაზი, რომელიც თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა.

თბილისის ჭაბუკი დინამოელები საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად იუგოსლავიაში გაემგზავრებიან, შემდეგ კი მათ საკავშირო ტურნირის ფინალი აქვთ.

* * *

**სურათებზე:** თბილისის „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი. მარცხნიდან (დგანან): ო. უშვერიძე, ფ. თვარაძე, ბ. ზრეგვაძე, მ. ალთუნაშვილი, გ. არაბიძე, ე. ჭედია, თ. უგრეხელიძე, ვ. მერეჩკო, ა. ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, ო. გეგეჭკორი; სხედან: გ. ცხვარაშვილი, ზ. ქავთარაძე, რ. ცხოვრებაშვილი, გ. ვახაძე, ა. მეშკოვი, გ. გურული, ა. ჩიხლაძე, გ. ჭჭოფუა; მცველი ა. ჩიხლაძე და თავდამსხმელი გ. არაბიძე.





# ფეხბურთი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

## I ჯგუფი

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

მასპინძელთა მიერ მე-4 წუთზე გატანილი გოლი (მურვანიძე) სულ მალე გაქვითა გუჩუამ. მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა იმავე მურვანიძემ მეორედ აიღო ოჩამჩირელთა კარი.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „ივერია“ (ხაშური) 6:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

პირველ ტაიმში ხაშურელთა კარი მხოლოდ ერთხელ იქნა აღებული (გუჯაბიძე). შესვენების მერე სტუმრების დაცვამ ძალზე სუსტად ითამაშა, რის გამოც „ივერიას“ კიდევ ხუთჯერ მოუხდა თამაშის დაწყება ცენტრიდან პანოვის, წიკლაურის, გუჯაბიძისა და ხავთასის (2) დარტყმების შემდეგ. ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო გოგინავამ.

**„დურუჯი“ (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:2. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).**

სტუდენტთა მხრივ თავი გამოიჩინეს აკოფიანმა და ქავთარაძემ.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).**

ანგარიში გახსნა ცხაკაიელმა ჩიქობავამ, საპასუხო ბურთი კი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი 11-მეტრიანი დარტყმით (გლინიანოვი).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 2:2. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).**

თერჯოლელი ფეხბურთელები ამ მატჩში ორჯერ დაწინაურდნენ (დადუნაშვილი, ჩუბინიძე), ხოლო ი. ძაგოევმა ორივეჯერ შესძლო თანაფარდობის აღდგენა.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „სპარტაკი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

მასპინძლებმა გაიმარჯვეს ერთადერთი გოლის მეოხებით, რომელიც 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა სპარტაკელთა კარში ქვარაიამ.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „მალთაქოელი“ (ჭიათურა) 2:2. მსაჯი ტ. კანდელაკი (თბილისი).**

ხობელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (ნ. გვასალია, გოცირიძე), ხოლო საპასუხო ბურთები გაიტანეს ცუცქირიძემ და ჯანგავაძემ.

**„ნადიკვარი“ (თელავი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:3. მსაჯი რ. ეჯიბია (თბილისი).**

**„ჩიხურა“ (საჩხერე) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:4. მსაჯი გ. ჭიჭავა (თბილისი).**

„მეტალურგის“ მხრივ 2 ბურთი გაიტანა გოგინავამ და თითო — ალადაშვილმა და ყაულაშვილმა, ხოლო საჩხერელთაგან — დუდაროვმა და აუშტროვმა (2).

ფოთის „კოლხეთის“ გამარჯვება ჩაეთვალა გალის „მზიურთან“.

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხ.“ ფ. | 32 | 22 | 7 | 3 | 72—25 | 51 |
| „მეტ.“ რ. | 29 | 20 | 5 | 4 | 51—22 | 45 |
| „მეშახტე“ | 27 | 17 | 6 | 4 | 45—22 | 40 |
| „მზიური“ | 28 | 16 | 5 | 7 | 44—25 | 37 |
| „მერცხ.“ | 25 | 12 | 10 | 3 | 43—20 | 34 |
| „მალარ.“ | 27 | 14 | 6 | 7 | 48—35 | 34 |
| „ენერგეტ.“ | 31 | 13 | 8 | 10 | 42—37 | 34 |
| „კოლხ.“ ხ. | 30 | 10 | 11 | 9 | 32—30 | 31 |
| „ნადიკვ.“ | 31 | 9 | 11 | 11 | 40—43 | 29 |
| „ჩიხურა“ | 30 | 10 | 8 | 12 | 42—37 | 28 |
| „ივერია“ ხ. | 32 | 10 | 8 | 14 | 25—42 | 28 |
| ფიზკ. ინსტ. | 32 | 12 | 4 | 16 | 41—61 | 28 |
| ასკ თბ. | 26 | 9 | 9 | 8 | 30—26 | 27 |
| პოლ. ინსტ. | 30 | 12 | 3 | 15 | 49—49 | 27 |
| „ამირანი“ | 30 | 10 | 7 | 13 | 27—40 | 27 |
| „სპარ.“ თბ. | 30 | 10 | 6 | 14 | 35—41 | 26 |
| „სპარ.“ ცხ. | 30 | 8 | 8 | 14 | 41—44 | 24 |
| „მეტ.“ ზ. | 29 | 7 | 10 | 12 | 37—41 | 24 |
| „სქური“ | 27 | 9 | 5 | 13 | 39—36 | 23 |
| „სალხინო“ | 25 | 7 | 8 | 10 | 30—45 | 22 |
| „დურუჯი“ | 29 | 9 | 2 | 18 | 23—43 | 20 |
| „ეგრისი“ | 30 | 4 | 10 | 16 | 22—44 | 18 |
| „იბერია“ ქ. | 30 | 4 | 5 | 21 | 23—73 | 13 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## II ჯგუფი

### I ზონა

„გიგანტი“ (გამარჯვება) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 9:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:0, „განთიადი“ (თბილისი) — „ფიჩხოვანი“ (ალვანის საბჭოთა მეურნეობა) 4:0, ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „სიონი“ (ბოლნისი) 5:3, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „განახლება“ (ადიგენი) 2:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „არაგვი“ (მცხეთა) 0:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 4:1

### II ზონა

„სულორი“ (ვანი) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 6:2, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 4:1, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 3:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „გიგანტი“ (ლაითური) 2:2, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 3.2.

## საჯარიმო დარტყმა

წალკის „თრიალეთის“ მოთამაშე თ. იანაკოვი ერთხელ გაძევებული იყო მინდვრიდან, ამას გარდა ორჯერ მიიღო გაფრთხილება. იანაკოვს 5 კალენდარული მატჩით აეკრძალა საქართველოს პირველობაზე თამაში.

გაფრთხილებული არიან: მ. ბოლქვაძე („ბახმარო“, ჩოხატაური), ზ. ნუცუბიძე („სულორი“, ვანი), ვ. ბალათრიშვილი („ნადიკვარი“, თელავი), ვ. მუსაევი („ალგეთი“, მარნეული), რ. ხუგაშვილი („არგოხი“, ახმეტა).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო**

## მეორე ლიგა
### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 7 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა“ | 34 | 19 | 8 | 7 | 51—27 | 46 |
| „შირაკი“ | 34 | 16 | 10 | 8 | 59—33 | 42 |
| „კოტაიკი“ | 34 | 18 | 4 | 12 | 47—43 | 40 |
| „გურია“ | 34 | 16 | 8 | 10 | 59—37 | 40 |
| „რუბინი“ | 34 | 15 | 9 | 10 | 44—34 | 39 |
| „დინ.“ ს. | 34 | 14 | 11 | 9 | 46—30 | 39 |
| „ტორპ.“ | 34 | 15 | 7 | 12 | 45—31 | 37 |
| „დრუჟბა“ | 34 | 16 | 4 | 14 | 44—36 | 36 |
| „ავტომობ“. | 34 | 15 | 6 | 13 | 46—48 | 36 |
| „ტურბ.“ | 34 | 15 | 5 | 14 | 40—47 | 35 |
| „ზენიტი“ | 34 | 11 | 13 | 10 | 41—37 | 35 |
| „ურალ.“ | 34 | 14 | 6 | 14 | 44—45 | 34 |
| „გაზოვ.“ | 34 | 13 | 8 | 13 | 45—41 | 34 |
| „დილა“ | 34 | 11 | 12 | 11 | 37—35 | 34 |
| „დინ.“ ს. | 34 | 13 | 7 | 14 | 48—49 | 33 |
| „დინ“. კრ. | 34 | 13 | 7 | 14 | 45—38 | 33 |
| „დინ.“ ბ. | 34 | 12 | 9 | 13 | 36—33 | 33 |
| „ლოკომ.“ | 34 | 13 | 6 | 15 | 45—55 | 32 |
| „გასტ.“ | 34 | 13 | 6 | 15 | 41—47 | 32 |
| „ყარაბ.“ | 34 | 12 | 8 | 14 | 36—36 | 32 |
| ფიზკ. ინსტ. | 34 | 8 | 13 | 13 | 27—36 | 29 |
| „პროგრ.“ | 34 | 12 | 3 | 19 | 34—57 | 27 |
| „ხაზარი“ | 34 | 9 | 5 | 20 | 28—57 | 23 |
| „არაზი“ | 34 | 5 | 5 | 24 | 28—83 | 15 |

## წინ გადამწყვეტი შეხვედრებია

**თბილისში** ამას წინათ მოეწყო უმაღლესი სასწავლებლების ფეხბურთელთა საკავშირო ზონალური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის, ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და გომელის უნივერსიტეტის გუნდები.

თბილისელმა ფეხბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით 3:1 დაამარცხეს გომელისა და ერევნის გუნდები, ხოლო ბაქოელებთან ითამაშეს ფრედ — 4:4.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი გავიდა ფინალში, რომელიც ქ. ნოვოჩერკასკში მოეწყობა 10-17 სექტემბერს. ფინალში თამაშის უფლება, აგრეთვე მოიპოვეს სიმფეროპოლის, კუიბიშევის, კაუნასის, ნოვოჩერკასკის, ლენინგრადის, მოსკოვის, ტაშკენტისა და ორჯონიკიძის გუნდებმა.

# ამხანაგურ მატჩში...

**იუგოსლავიაში** პირველი ამხანაგური მატჩი გამართეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. ლიუბლიანაში ადგილობრივ „ოლიმპიასთან“ ისინი დამარცხდნენ — 1:2. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს მ. ჩალასანმა (11-მეტრიანი საჯარიმოდან) და მ. ელეზნიმ. საპასუხო გოლის ავტორია თბილისელთა კაპიტანი მ. მაჩაიძე.

## შიონის მემუარები

გფრ-ის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ჰ. შიონმა გამოსცა წიგნი „ფეხბურთი“. აქ მოთხრობილია ამ ცნობილი პროფესიონალი მწვრთნელის კარიერაზე, ლაპარაკია მსოფლიოს ბოლო 4 ჩემპიონატზე, სადაც შიონი გფრ-ის ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

# «ხუან დე ლა ბარესას» სასახლეში

**დამსწრე გვიამბობს**

მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატამდე დათვლილი დღეებიღა რჩებოდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა უფროს მწვრთნელს იური შახმურადოვს ჯერაც არ გამოეცხადებინა ნაკრების წევრთა სია. სპორტის ქართველ გულშემატკივრებს ძირითადად ერთი საკითხი აინტერესებდათ — იასპარეზებდა თუ არა მეხიკოში ოლიმპიური თამაშების ორგზის, მსოფლიოს ხუთგზისა და ევროპის ორგზის ჩემპიონი ლევან თედიაშვილი. რაც შეეხება „კლასიკოსებს", აქ საქმე კარგახნის გარკვეული იყო — 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენი ქვეყნის სახელს ვახტანგ ბლაგიძე დაიცავდა.

და აი, წახკაძორში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე, გაიმართა მექსიკის საგზურების მაძიებელთა დასკვნითი ორთაბრძოლები, სადაც ლევან თედიაშვილმა აშკარა უპირატესობით (11:1) სძლია ნაკრები გუნდის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატს ილია მატეს და 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მექსიკაში ჯერ „კლასიკოსები" გაემგზავრნენ, 16 აგვისტოს კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი და სპეციალისტების ჯგუფი (მათ შორის რომან რურუა, ჯემალ მეგრელიშვილი და ელგუჯა ლუდუშაური) გაფრინდა მოსკოვიდან.

ახლა უკვე ცნობილია, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა ამ დიდმნიშვნელოვან ასპარეზობაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს — ორივე სახეობის ჭამში მოიპოვეს 12 ოქროს, 4 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი და გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილებზე გავიდნენ, მაგრამ ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის **ელგუჯა ლუდუშაურის** ნაამბობი ჩვენი თანამემამულეების ვახტანგ ბლაგიძისა და ლევან თედიაშვილის გამოსვლათა შესახებ.

• • •

**მექსიკა** ისეთ ქვეყნად ითვლება, სადაც ჭიდაობა ნაკლებადაა განვითარებული და სწორედ ამ წარმტაცი სახეობის პოპულარიზაციის მიზნით მოაწყო ფილა-მ (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ, პრეზიდენტი მილან ერცეგანი, იუგოსლავია) მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი მეხიკოში. ჩვენი თვითმფრინავი ილ-68 18 საათიანი ფრენის შემდეგ დაეშვა მეხიკოს აეროდრომზე. მექსიკელებმა გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს — დაგვათვალიერებინეს ქვეყნის მეორე ქალაქი გვადალახარა, მსოფლიოში ცნობილი კურორტი აკაპულკო, 20 აგვისტოს კი ისევ მეხიკოში ვიყავით, სადაც „ხუან დე ლა ბარესას" სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

ამ შეჯიბრებაზე ვახტანგ ბლაგიძის ძირითად მეტოქედ რუმინელი ჯინგა ითვლებოდა. ვახტანგს ადრე, ბულგარეთში გამართულ უნივერსიადაზე დამარცხებული ჰყავდა რუმინელი ფალავანი, ოსლოში კი, ევროპის პირველობაზე, ჯინგამ არ ისურვა მონაწილეობის მიღება. მოსალოდნელი იყო, რომ ეს საკმაოდ ძლიერი სპორტსმენი სწორედ მეხიკოში მოინდომებდა რევანშის აღებას. მართლაც, ჯინგამ შესანიშნავად განვლო მთელი ჩემპიონატი, ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინალში ქართველი ფალავნის წინ წარსდგა. შეხვედრა დაიწყო. პირველ სამ წუთში ბრძოლა თითქმის თანაბარი იყო, მეორე პერიოდში ჯინგამ შესანიშნავი გდება ჩაუტარა ვახტანგს და ამისთვის ოთხი ქულაც დაიმსახურა, მაგრამ ქართველმა ფალავანმა შესაშური ოსტატობა გამოავლინა და მალე მთელი სამი ქულით გაუსწრო მეტოქეს. შეხვედრის ბოლო წუთზე ბლაგიძე იგებდა ანგარიშით 7:6, მაგრამ აქ ერთი „გაუთვალისწინებელი" შემთხვევა მოხდა — ჯინგამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მოწინააღმდეგეს ერთი ქულა აართვა და ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრის დამთავრებამდე 15 წამიღა რჩებოდა, ჭიდაობის ფრედ დამთავრების შემთხვევაში გამარჯვება რუმინელ ფალავანს მიეკუთვნებოდა, რადგან მას უფრო მეტქულიანი ილეთი ჰქონდა ჩატარებული, მაგრამ ვახტანგმა შეუძლებელი შეძლო. ბოლო წამებზე ჩოქბჯენში გადაიყვანა მეტოქე და შეხვედრას გამარჯვების წერტილი დაუსვა.

მეორე დღეს, 24 აგვისტოს დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ლევან თედიაშვილს ძლიერ და გამოცდილ მეტოქესთან, თურქ გიუზელისთან მოუხდა პირველივე შეხვედრა. ქართველი ფალავანი კარგად იცნობდა მოწინააღმდეგეს, ევროპის წლევანდელ პირველობაზე ლევანმა სწორედ მას მოუგო ფინალური ბრძოლა და ჩემპიონის საპატიო ტიტულიც მოიპოვა.

საკმაოდ დრამატული შეხვედრა თედიაშვილმა ქულებით მოიგო. მეორედ ქართველი ფალავანი ქვენჭისყრამ ირანელ სოლიმანს შეახვედრა. სოლიმანმა თამამად შეუტია ტიტულოვან მეტოქეს და დასაწყისში მომგებიანი ქულებიც აართვა, მაგრამ ლევანმა შესანიშნავი ილეთით მერვე წუთზე წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ამის შემდეგ თედიაშვილმა კიდევ სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივე წმინდად მოიგო, მაგრამ ერთ-ერთი ბრძოლის დროს ლევანს მარცხენა ფეხის მუხლი სტკენოდა.

ფინალში ქართველი ფალავანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ჰაროლდ ბიუტნერს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ ბიუტნერს დამარცხებული ჰყავს საბჭოთა ათლეტები ა. ბისულთანოვი და ი. იარიგინი, თედიაშვილს კი პირველად ხვდებოდა, როგორც ჩანს გერმანელი ფალავანი საგანგებოდ მოემზადა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან სასპარეზოდ. ეს მალე გამოჩნდა — ბიუტნერმა ორჯერ სცადა საკმაოდ მოულოდნელი ილეთის, ფეხჩახვეული გდების შესრულება, რომელიც მას მთელი ტურნირის მანძილზე ერთხელაც არ გა[illegible], მაგრამ ლევანმა ადვილად აუღო ალღო მეტოქის კარგად მოფიქრებულ სვლას და კონტრფანდით ორივეჯერ თვითონ აართვა ქულა. მთელი რვა წუთის განმავლობაში ქართველ ფალავანს ერთხელაც არ დაუთმია მოწინააღმდეგისათვის ინიციატივა. შეხვედრის დამთავრებას ერთი წუთიღა აკლდა, ანგარიში 8:5 კი ლევანის სასარგებლოდ მეტყველებდა. ამასთან ბიუტნერს პასიური ჭიდაობისთვის უკვე ორი გაფრთხილება ჰქონდა მიღებული და მსაჯები ის-ის იყო მესამის მიცემასაც აპირებდნენ, რომ გერმანელმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, კვლავ წამოიწყო საგანგებო ილეთი — ფეხჩახვეული გდება და სწორედ იმ მტკივანი ფეხიდან მოწყვიტა მეტოქე ხალიჩას. ყველამ შენიშნა ლევანის ტკივილისაგან გაფითრებული სახე, დარბაზმა ერთი კაცივით ამოიგმინა, მაგრამ უკვე გვიან იყო — ქართველი ფალავანი ორივე ბეჭით შეეხო ხალიჩას...

ეს მართლაც გულდასაწყვეტი მარცხი გარეგნულად ყველაზე ნაკლებად თვითონ ლევანმა განიცადა. მან გულკეთილი ღიმილით პირველმა მიულოცა ჰაროლდ ბიუტნერს წარმატება და ღიმილითვე დასტოვა სარბიელი. ბიუტნერი კი, ბიუტნერი სიხარულით ცას ეწია — ხუმრობა ხომ არ იყო ასეთ მეტოქესთან გამარჯვების მოპოვება...

---

**ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში**



აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში კარგი პირობებია შექმნილი აფროსნებისთვის. რამდენიმე იახტკლუბში გაერთიანებულია სპორტის ამ სახეობის ასობით მოყვარული.

სურათებზე: ბაქოს ყურე ზაფხულის დღეებში; „ფინის" კლასის მესაჭე რენატ ამინოვი. (საკდესი).

## ფრენბურთი

**გუშინწინ** ლენინგრადში გაიმართა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები ფრენბურთში. იაპონიის ნაკრებმა სძლია სამხრეთ კორეას — 3:1. ასეთივე ანგარიშით კუბელებმა დაამარცხეს სსრ კავშირის ნაკრები. გუშინ მსოფლიო ჩემპიონობის ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს ხვდებოდნენ იაპონელი და კუბელი ფრენბურთელები, ხოლო ბრინჯაოს მედლებისთვის სსრ კავშირისა და სამხრეთ კორეის გუნდები.

## ჭადრაკი

**მეხიკოში** მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში ახალგაზრდულ გუნდებს შორის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებიან ინგლისის, კუბისა და სსრ კავშირის მოჭადრაკეები.

ინგლისელებთან საბჭოთა მოჭადრაკეები დამარცხდნენ ანგარიშით 1:3. I და II დაფებზე ბელიავსკიმ და კოჩიევმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს, მიხალჩიშინი და პანჩენკო დამარცხდნენ. სამაგიეროდ, საბჭოთა ოსტატებმა სძლიეს კუბელებს — 3:1.

ორი დასკვნითი ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ინგლისი — 21 ქულა, კუბა — 20, სსრ კავშირი — 19,5, აშშ — 16,5.

## მძლეოსნობა

**მაინის** ფრანკფურტის სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ოთხი მსოფლიო რეკორდის ავტორმა კენიელმა ჰ. რონომ წლეულს პირველი მარცხი იწვნია — 3000 მეტრზე ასპარეზობისას ფინიშთან მესამე მივიდა — 7.45,3 (ამ მანძილზე მისი მსოფლიო რეკორდია 7.32,1). პირველობა მოიგო მ. რიფელმა (შვეიცარია) — 7.42,2. ამავე დისტანციაზე წინაღობებით რბენაში ევროპის ჩემპიონი პოლონელი ბ. მალინოვსკი მას 0,3 წამით ჩამორჩა.

## თხილამურები

**ბიშოფსგრიუნის** (გფრ) ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე გამართულ „მფრინავ მოთხილამურეთა" საერთაშორისო შეჯიბრებაში იმარჯვა ავსტრიელმა ტ. ინაუერმა — 243,7 ქულა (ნახტომები ორივეჯერ 59 მ). 90-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონი ტ. რაისიანენი (ფინეთი) მეოთხე ადგილს დასჯერდა — 236,7 ქულა (58 და 57,5 მ).

# მათი «ბრინჯაოს» ოცნება

**9 წლის** კურტ თომასის დედას ძალიან აწუხებდა უმცროსი ვაჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა: „საცოდავი ბავშვი სუსტია..." ამბობდა იგი. 8 წლის შემდეგ კურტმა, რომელმაც ლოს-ანჯელესში ზედიზედ მესამედ მოიპოვა აშშ-ის ჩემპიონის წოდება სპორტულ ტანვარჯიშში, მთლიანად გაფანტა დედის შიში.

კურტ თომასმა ამ შეჯიბრებაში კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ამჟამად ქვეყნის საუკეთესო ტანმოვარჯიშეა. ალბათ აშშ-ში არც ჰყოლიათ ასეთი ძლიერი ტანმოვარჯიშე. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ამ სახეობაში აშშ-ის ჩემპიონის ტიტული სპორტული სამყაროსათვის მაინცდამაინც ბევრს არაფერს ნიშნავს, სპეციალისტების აზრით, მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეებმა ანგარიში უნდა გაუწიონ თომასს, ბარსელონას, ტოკიოსა და ლონდონის ტურნირებში კურტმა ამერიკელ ტანმოვარჯიშეებს აუცილებელი რეპუტაცია შეუქმნა უცხოელ მსაჯთა წინაშე.

ამასთან კურტი არ არის ერთადერთი ძლიერი ტანმოვარჯიშე აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებში. ბერტ კონერი, ჯიმი ჰარტინგი, მაიკ უოლსონი, ფილ ტეიო მაღალი ტექნიკით გამოირჩევიან. ისინი მზად არიან ცნობილ ოსტატებს გაუწიონ მეტოქეობა თანამედროვე კომბინაციების შესრულებაში. როგორც ამერიკული გაზეთები იტყობინებიან აშშ-ის „ტანვარჯიშული რაზმის" მთავარი მიზანია მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში გუნდური ბრინჯაოს ჯილდოს მოპოვება.

შარშან ნიუ იორკში ამერიკის თასის გათამაშებაში თომასმა 22 ათასი მაყურებელი და ტურნირის მონაწილე 18 ქვეყნის ტანმოვარჯიშეები განაცვიფრა. მან ოქროს მედლები მოიპოვა პროგრამის ექვსივე სახეობაში. მისი ყოველი გამოსვლა 9,6 ქულაზე ნაკლებით არ შეფასებულა. ამ ტურნირში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მიცუო ცუკაჰარა მრავალჭიდში მხოლოდ V ადგილს დასჯერდა.

თომასი უშიშრად ასრულებს ისეთ რთულ ელემენტებს, როგორიცაა ძელიდან სამმაგი მალაყით ჩამოხტომა. კურტი ამბობს: „წლების განმავლობაში ვეჩვეოდი ჰაერში ორიენტაციას. ახლა, მზადების ამ დონეზე, შეუძლებელია რაიმე მოულოდნელობა მოხდეს. ჩემის აზრით, ელემენტების უმრავლესობა უნდა შესრულდეს ერთი მოქნევით და არა ძალის ხარჯზე, რამდენადაც მხოლოდ ასე შეიძლება მოძრაობა ბუნებრივი გავხადოთ. ტანმოვარჯიშის მთავარი ამოცანაა შექმნას შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე ტანვარჯიშის ყველა ეს რთული ელემენტი სრულდება აშკარა ძალდატანების გარეშე".

ამერიკელთა გუნდის მწვრთნელის კარლ შვენცრაიერის აზრით, კურტს აქვს ვარჯიშის ვიზუალურად აღქმის უნარი. იგი ვიდეომაგნიტოფონზე ჩაწერილ ელემენტს 10 წუთის შემდეგ გაიმეორებს. სხვა ტანმოვარჯიშეებს კი თვეების განმავლობაში შეუპოვარი ვარჯიში სჭირდებათ. შვენცრაიერი აღნიშნავს, რომ სწორედ კურტ თომასი შეძლებს გახადოს ტანვარჯიში პოპულარული სახეობა აშშ-ში (საკდესი).

# „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" 35-ე ტირაჟებისა, რომლებიც 2 სექტემბერს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტოს" 6-49-დან მოგებები ასეთია:

პირველი: ექვსი (შელავათიანი ბურთულით) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2273 მანეთია, ხუთისთვის — 1273, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 73, ოთხისთვის — 48, სამისთვის — 3.

მეორე: ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3461 მანეთია, ხუთისთვის — 2461, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 73, ოთხისთვის — 48, სამისთვის — 3.

„სპორტლოტოს" 5-36-დან მოგებები ასეთია:

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5647 მანეთია, ოთხისთვის — 92, სამისთვის — 5.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის — 175, სამისთვის — 6.

„სპორტლოტოს" 35-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 13 სექტემბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-53; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უი 10174